ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№4, 29 აპრილი, პარასკევი, 2016 წელი

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! უფალი გვფარავდეს!

სულიერო შვილებო, ქალბატონებო და ბატონებო!

თუკი გადავხედავთ საქართველოს ისტორიას, დავინახავთ, რომ ლიტერატურას ყოველთვის უდიდესი როლი ჰქონდა ყოველი ქართველის ცხოვრებაში. საუკუნეთა მიჯნაზე სნორეულ გენიალური ქართული ლიტერატურით საზრდოობდნენ თითქმის ყველა თაობის ნარმომადგენლები. თუ ჩვენ არ გვექნებოდა ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა, რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანის სულიერ აღზრდას, მის დაახლოებას ღმერთთან და მოყვასის სიყვარულს, ვერ აღორძინდებოდა ის საერო ლიტერატურა, რომელსაც ასე ვეთაყვანებით.

თითოეულმა ჩვენგანმა უურადღება უნდა მივაქციოთ ინტელექტის აკადემიური დოზისა და ზნეობის ზრდას. ზნეობა ხომ ადამიანის სულიერების ერთგვარი საზომი ერთეულია.

სნორად შერჩეულმა ხელოვნების ყველა დარგმა უნდა უზრუნველყოს აქტიური ურთიერთობა საზოგადოების ყველა თაობის ნარმომადგენელთა შორის, ლიტერატურა კი ნანარმოებთა ის ერთობლიობაა, რომელსაც ძალუძს, ადამიანები მეტად ჰუმანური და მიმტევებელი, ჯეშმარიტი პატრიოტი, სამშობლოს მოყვარული გახადოს.

ამ მნიშვნელოვანი ნამონყებისთვის, იმისთვის, რომ ჩვენს ქალაქს აქვს თავისი ლიტერატურული გაზეთი, მინდა, დაგლოცოთ თითოეული თქვენგანი და გისურვოთ მრავალი ერთგული მკითხველი!

პატივისცემით,
ქ. ხაშურის წმიდა იოანე ნათლისმცემლის
საკათედრო ტაძრის ნინამძღვარი, დეკანოზი **ალექსი ახალკაცი**

ქვიშხეთის კულტურის ახალი ძეგლი – ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი მთანმინდაზე

ქვიშხეთში, შიდა ქართლის ამ თვალნარმტაც სოფელში, ამაღლების მომდევნო ხუთშაბათს, ტრადიციულად, ყოველ ნელინადს აღინიშნება ერთ-ერთი რელიგიური დღესასწაული – მთანმინდობა.

მთა-წმინდაზე, რომელიც ზღვის დონიდან 1000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს დგას პატარა, დარბაზული ეკლესია, XIX საუკუნეში, ვინმე კურტანიძის მიერ აგებული.

ლიტერატურის მუზეუმში დაცული, დიმიტრი ყიფიანის რძლის, ნინო ტატიშვილი-ყიფიანის არქივში მოძიებულ ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ:

„...მესამე მხრით, მთა-წმინდა მოლად დაბურულა ტივის ხეებიანი ტყით, რომლიდგანაც ფოთლებ შორის, ოდნავ მოჩანს სერზედ აშენებული, საუკუნოების მომსნრე წმინდა დავითის ეკლესია, რომლის თაყვანის საცემლადაც მისში იკრიბება ხალხი, მომეტებულად – გლეხობა გარშემო სოფლებიდგან..."

ეს მადლმოსილი, უძველესი საყდარი დღესაც დგას მთა-წმინდაზე და მომლოცველს ელის.

ვიდრე ხაშურიდან ქვიშხეთამდე გადაჯიმული ულამაზეს გზას დაკეცავთ და გეზს ბორჯომის ხეობისკენ აიღებთ, არ შეიძლება თვალი წმინდა მთას არ შეავლოთ, სადაც პატარა საყდრის გვერდით ახალი, ივერიის ღვთისმშობლის სახელობის გუმბათოვანი ტაძარი დგას, თითქოსდა, ზეციდან ჩამოუშვესო სასნაულად...

2011 წლის 14 ოქტომბერს, მეუფე იობის ლოცვა-კურთხევით, ძამის ხეობაში მოღვაწე ქვიშხეთელმა იღუმენმა ონოფრემ, (ერობაში ოთარ კვინიკაძე) რომელმაც ხეობაში ხუთი მონასტრის აშენება ღვთის მადლითა და ნებით შეძლო, ორ მორჩილთან – მიქაელთან და ალექსანდრესთან ერთად, ქვიშხეთის მთანმინდაზე დაივანა.

თითქოსდა ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა ბავშვობის ოცნებას – მთანმინდის ნალკოტში დიდი და ლამაზი ტაძარი ეხილა...

სოფლიდან სამი კილომეტრის სიმაღლეზე დავანებულთ უგზოობის, უწყლობისა და უსინათლობის პრობლემის დაძლევაში თანადგომა ქვიშხეთის მოსახლეობამ გაუწია.

იყო რწმენა... იყო ლოცვა-კურთხევა, ჯერ მეუფე იობის, შემდგომ მეუფე სვიმეონისა და... „...დიდ იყო ნება უფლისა..."

რწმენით და იმედით მოჯიქულ ცაზე გუმბათი გამოისახა...

უფლისადმი დიდი სიყვარულისა და რწმენის დასტურად, ქვიშხეთელმა ივანე (ზალიკო) სამხარაძემ იტვირთა მისია ტაძარი აეგო...

და აი, დგას მთანმინდაზე ქვიშხეთის კულტურის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი – ივერიის ღვთისმშობლის სახელობის გუმბათოვანი ტაძარი. (მისი დღესასწაული ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათია).

დგას და, ვით დრო-ჟამისაგან ქვაგახუნებული პატარა საყდარი, უკვე ისიც ელის თავის მომლოცველს...

ღმერთმა დალოცოს სამშობლო და ივანე სამხარაძის ოჯახი, ივერიის ღვთისმშობელს ებარებოდეს მისი ერთადერთი ვაჟი – ლუკა სამხარაძე...

ქარი საჯვარეზე ადიოდა,
მთანმინდა ერქვა იმ მთას...
ნატვრის ხე დღითიდღე ილეოდა –
იმდენი მუდარა ითქვა.

მადლს ლოცვის ალმური ასდიოდა,
ტვირთს ამსუბუქებდა ჯვარი,
ქვიშხეთს დალალივით გადაყროდა
მხრებზე ტალღოვანი მტკვარი.

კლარა გელაშვილი

იუბილარი

მე ვხედავ კოცონს...

ხაშური და ნანი გაჩეჩილაძე... ნანი გაჩეჩილაძე და ხაშური – ეს ორი ცოცხალი ორგანიზმი არ შეიძლება, ერთმანეთისაგან გამიჯნო, რადგან ხაშურის კულტურულ ცხოვრებაში ამ საოცარმა ქალბატონმა თავისი გამორჩეული სიტყვა თქვა.

ხაშური, მისთვის, როგორც ბავშვობის საჰაერო ბუშტიდან დაცვენილი, ახდენილი თუ აუხდენელი ტკბილ–მწარე ოცნებათა ნავსაყუდარია.

აქ, ამ პატარა ქალაქში აიდგა ფეხი მისმა შემოქმედებითმა ნიჭმა. სიყვარულით განებივრებულმა თვალხატულა გოგონამ მინდვრის ყვავილივით გზადაგზა აკრიფა თავისი კუთხის მარგალიტები, გაამდიდრა და გაფურჩქნა მისი შემოქმედებითი მრავალმხრივობა.

და ასე, ცნობის ფურცელივით აფრიალდა ხაშურში ნანი გაჩეჩილაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამბები...

მუსიკოსი, ადგილობრივი გაზეთის შტატგარეშე კორესპონდენტი, საავტორო გადაცემის „ქალბატონები და ბატონები"–ს რეჟისორი და წამყვანი, საყმაწვილო ტელესტუდია „დიადემა"–ს რეჟისორი და ტელეწამყვანი, ვოკალურ–ინსტრუმენტული ანსამბლის „გულმართალი ბიჭები" სამხატვრო ხელმძღვანელი, საბავშვო ლექსთა კრებულის „უმელოდიოდ ნამღერი ლექსი"–ს ავტორი და სხვა.

ასევე, იმ გულწრფელი სიხარულის გამზიარებელი, რასაც იგი ნებისმიერ ადამიანში განსაკუთრებული ნიჭის აღმოჩენისას განგვაცდევინებს. ქალბატონი ნანი სინათლის მშთანთქავ სტიქიას ებრძვის და თითოეულ ჩვენგანს გვაფხიზლებს და მოგვიწოდებს, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, მომავალს გზა და მიმართულება მივცეთ...

და ასე, სხვათა კეთილდღეობის ძიებაში საკუთარი იპოვა, – თავისმა ერთამ, გიგა კაპანაძემ ხუთი ვარსკვლავის ბეწიობით დაასაჯილდოვა...

რამდენიმე წლის წინ, როცა ქალბატონი ნანის წიგნზე მუშაობისას, მისი არქივი დავათვალიერე, არაერთი ცნობილი პიროვნების აღფრთოვანებით აღვსილ ფრაზებს მოვკარი თვალი, მისადმი მიძღვნილს:

„ლამაზ თვალებში სევდა ჩაღვრილა,
გაბუტულ ტუჩებს ახლავს ჩურჩული,
(პოეტის ქნარი ლექსად აჟღერდა) –
ნანის სიცოცხლე და სიყვარული..."

მორის ფოცხიშვილი.

„თურმე, ხაშურს თავისი მედეა ჯაფარიძე ჰყოლია, – მარად ახალგაზრდა და მომხიბვლელი..." (გურამ ჯაში)

„ნანი გაჩეჩილაძე ჩემი აღმოჩენაა..." (თამარ გვერდწითელი)

„თამამად ვიტყვი, ასეთი საყმაწვილო ტელე–სტუდია, როგორიც „დიადემაა" საქართველოში, არ არის! ბრავო, ნანი გაჩეჩილაძე!" (გივი ბერიკაშვილი)

სიკეთე ტკივილის მალამოა, – ამბობს ხშირად. მოფერებაც განსაკუთრებული იცის და წყრომაც, თუკი ეს საჭიროდ მიაჩნია...

საკუთარი თავის მიმართ კრიტიკული მიდგომით ხშირად შეგვახსენებს, რომ ადამიანი რეალისტი უნდა იყოს და სარკეში საკუთარ ორეულს არ უნდა გაურბოდეს...

„ჩემი სიმდიდრე ჩემი სამეგობროა..." – ხშირად იმეორებს ამ ფრაზას და, თუკი ნანი გაჩეჩილაძის ლექსების კრებულში მეგობრებისადმი მარგალიტებივით აკინძულ სიყვარულის სტრიქონებს წაიკითხავთ, მიხვდებით, თუ რა აკავშირებს მას ადამიანებთან, თუ როგორ პატივს მიაგებს იგი უდროოდ წასულთა ხსოვნას, (ხსოვნის საღამოები, წერილები, მოგონებები...) როგორ აწუხებს განცდა იმისა, რომ ვიღაცასთან „დააგვიანდა", თქმა ვერ მოასწრო... (მახსოვს, ერთ–ერთი ღონისძიების შემდეგ, ბანკეტზე წასვლის მაგიერ, მეგობრის საფლავს მიეახლა და იქ დაცალა ცრემლით სავსე თვალიც და თასიც, იმ დღის შთაბეჭდილებებისა...)

ნანი გაჩეჩილაძემ დაიპყრო ხაშური!... ხაშურმა შეიფერა ნანი გაჩეჩილაძე... სწორედ ამიტომ, მას ამ ქალაქში აღიარების სიმწირე არასდროს უგრძნია.

თუმცა, 2016 წელი მაინც განსაკუთრებული იქნება ქალბატონი ნანისთვის:

22 აპრილს მშობლიურმა ქალაქმა, ხაშურის მუნიციპალიტეტისა და კულტურის სამსახურის მხარდაჭერით, ვარსკვლავი გაუხსნა მას.

ვულოცავთ ქალბატონ ნანის და ვუერთდებით მის სიხარულს ამ ბედნიერი, დამსახურებული წუთების განცდისას...

მე ვხედავ კოცონს, რომელზეც დრო იწვის... ვერანაირი ძალა ვერ შეაჩერებს ამ პროცესს, გარდა სიყვარულისა!...

მიყვარხართ!!!

კლარა გელაშვილი

ნანი – ჩვენი ერთგული მეგობარი

როცა ადამიანი გულთან ახლოს გყავს, მისთვის ყველაფერი საუკეთესო და განსხვავებული გინდა, სიტყვაც – ამაღლებული, მადლიანი, გასახარი, ისეთი, როგორიც მას ეგების.

ნანი გაჩეჩილაძე – ეს სახელი და გვარი თვითონ ამბობს თავის ლამაზ სათქმელს!

ნანი – დიდი სულისა და გულის პატრონი, სიხარულისა და დარდის გამზიარებელი, მეგობრობის ღირსეულად დამფასებელი, თავდადებული დედა და ბებია, – ადამიანებში მუდამ სიკეთეს რომ ეძებს, არავის არაფერს უკარგავს, რომელსაც შეუძლია, ცამდე აგიყვანოს და პარნასზე, ოქროს სკამზე დაგაბრძანოს.

ნანი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე სანთელივით ანთია და იწვის მის ირგვლივ მყოფთა საკეთილდღეოდ.

ბარაქალა, ნანი!

დიდხანს, დიდხანს ანათე, ჩვენო ერთგულო მეგობარო და ჭირისუფალო...

ვერცხლისფერად
შემომდგარა შემოდგომა,
მღერის ქარი...
სიკეთის და
სიყვარულის დედოფალო,
იდღეგრძელე,
იმზეგრძელე,
ჩვენო ნანი!..

ქეთევანა ცინცაძე **ჭუჭუნა ცინცაძე**

პაემანი ცაში

ნანი გაჩეჩილაძეს

წლები სწრაფად მიჰქრიან
ფაფარაშლილი რაშით,
რაღაც გინდა, ნაშალო,
რაღაცას კი არ შლი.
გახსენდება პირველი
პაემანი ცაში,
წრფელზე წრფელი ამბორი,
ჟრუანტელი ტანში...
შეწყვეტილი სიმღერა,
მიმოზები ქარში,
დარჩი, ოცნებასავით
მომზირალი ბავშვი...
ხის ფოთლები ხმაურით
ჩაცვენილა ჭაში,
დაღვენთილა სანთელი, –
ჩამდინარე ღარში...
უსიმებო ორკესტრი,
უხმაურო ტაში,
გადამწვარი ოცნება,
მინავლული ალში.
ვარდისფერი სათვალით
რა იცოდი მაშინ...
ახლა იცი, ცხოვრების
რომელ ფურცელს ნაშლი!
შენთან არის ღმერთი და
მგალობელი შაშვი,
შენი ბედის სასწორზე
ფრთაშესხმული რაში...
გვირილების კრეფაში
გალეულა ხანი,
ნანე, ვარსკვლავს გიხსნიან,
გაიხარე, ნანი!..

მანანა დანგაძე

ხსოვნა

უშენობის მეხუთე გაზაფხული...

აპრილის თვეში, როცა გაზაფხულის პირველ ყვავილთა სურნელში, ჯერ კიდევ, ზამთრისგან განებივრებული ქარი თავისი მოუღლელი ფრთებით ჩაიქროლებს, როცა სიმწვანის უნაზესი ხავერდი აბიბინდება თრიალეთზე, მე განსაკუთრებულად მომეძალება დარდი და მონატრება დაკარგული მეგობრისა, რომელსაც შეეძლო, მეგობრებისთვის ცხოვრება სასამური გაეხადა.

შენი დაბადების დღე მეხუთედ დადგა უშენოდ, ციცინო!..

17 აპრილი, ჩვენთვის სიხარულისა და ბედნიერების ნაცვლად, დიდ სევდად და ტკივილად იქცა...

ლამაზი იყავი, ერთ-ერთი გამორჩეული სილამაზის ასული, გონიერი...

თუმცა, გამორჩეულთ ხომ, ხშირად არა აქვთ ბედი!..

პირად ცხოვრებაში, მართლაც, უიღბლო გამოდექ, ვერ დატოვე შთამომავალნი, რასაც მუდამ მძაფრად განიცდიდი, მაგრამ განგება ყოველთვის უბოძებს ხოლმე ადამიანებს რაღაც სხვას, მეორე ბედნიერებას, ერთის სანაცვლოდ.

ახლა ვფიქრობ, ნეტავ, რომელი სჯობდა? – პირადი ბედნიერება, თუ ის დიდი სიყვარული და მეგობრობის საოცარი უნარი, რომლითაც შენი წუთისოფელი გალიე?!.

ახლაც, ამ ხუთი წლის შემდეგაც, ისევ იმ დიდი სიყვარულით გვითბობ უშენობით დაობლებულ გულებს. საკუთარი ოჯახიც მალე ივიწყებს მოამაგე წევრს, შენ კი, ამ ხუთმა წელმა, კიდევ უფრო, მეტად სასურველი და საჭირო გაგხადა შენი თანამოქალაქეების თვალში, რადგან ჯერაც ვერავინ დაიკავა ჩვენ შორის ის ადგილი, შენ რომ გქონდა, ჯერაც ვერავინ შეწვდა იმ ნათელს, რომლითაც შენ კრავდი და ადუღაბებდი ჩვენს მეგობრობას.

შენ სხვა მარილი გქონდა, სხვა მადლი, სხვა ძალაც!

თუმც, საკუთარი თავი ყველაზე უკან წარმოგედგინა, სხვისთვის იღწვოდი და გიფასდებოდა კიდეც ეს ღვაწლი. სიყვარული გაგაყოლა შენმა ქალაქმა, ახლაც სიყვარულით გიხსენებს ყველა და ვფიქრობ, ამაშია შენი უკვდავებაც, ჩემო საოცარო მეგობარო.

ახლა აპრილი ფეხქვეშ გაჰფენს თეთრ ფურცლებს... ჩვენს აპრილივით ლამაზ და უზადო მეგობრობას, იმ ეპიზოდებსა თუ ცხოვრებისეულ ფრაგმენტებს, ალბათ, ერთი წიგნიც არ ეყოფა.

მე გავხედავ თრიალეთის ქედს, ჩვენი საციციანოს ულამაზეს კორტოხებს, სადაც შენი მარადიული სამყოფელია და თავს იმით დავიმშვიდებ, რომ ოდესმე, მეც მანდ დავიდებ ბინას... ჩვენ ხომ ერთი მიწა-წყლის, ერთი სოფლის შვილები ვართ და ჩვენს წინაპრებსაც ერთმანეთის გვერდით სძინავთ, – ყორანქედის ასასვლელთან, ნათლისმცემლის ტაძრის სიახლოვეს...

აპრილია... უშენობის მეხუთე გაზაფხული...

მურად მთვარელიძე

ციცინო ბურნაძეს

პოეტი მაინც სხვაგვარად ცხოვრობს,
არსებობს მისთვის პლანეტა მითის
და დედამიწაც სულ სხვაა მისთვის –
პოეტი, ბოლოს სხვაგვარად მიდის...
პოეტმა იცის სიცოცხლის კრედო
და გული მისი სხვაგვარად სუნთქავს...
პოეტი ქალის ბედი არ ბედობს
და სულიც მიჰყავს სხვაგვარად უფალს!..

ხათუნა ჩიტაძე

სულის ზრდა

„პატრიარქები"

შოთა რუსთაველის სახელობის ხაშურის IX საჯარო სკოლა ერთ-ერთი გამორჩეული, საინტერესო ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის მქონეა – დღიდან დაარსებისა დღემდე, ლეგენდარული პედაგოგებითა და ხელმძღვანელებით.

და სასიხარულოა, რომ სკოლაში ბევრი სასიკეთო და ნოვატორული პროექტი ხორციელდება მომავალი თაობის განათლების, შემეცნებისა და ზნეობის განვითარებისათვის...

ამ ყველაფრის გამოძახილი იყო 11 აპრილს, საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო – „პატრიარქები", რომელიც IX საჯარო სკოლის დირექტორის მამუკა ხაჩიძის ინიციატივით გაიმართა.

1917 წლის 25 მარტი, თავისი მნიშვნელობით, უდიდესი თარიღია საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში – ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე, რომელიც 1989 წელს მსოფლიოს მართლმადიდებლური სამყაროს მიერ იურიდიულად იქნა აღიარებული.

IX საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: ნიკოლოზ ღონღაძემ, თამუნა ტატაევმა, ნანი ჩოჩნიძემ, გიორგი ლუარსმანაშვილმა, სალომე მურჯიკნელმა, ლანა გონგლაძემ, ალეკო ბერიძემ, გვანცა ლუარსმანაშვილმა, მაია მეტივიშვილმა, მაია წიქარიშვილმა, თამთა ხუციშვილმა, სოფო ნადირაშვილმა, ნათია ლაცაბიძემ, ქეთი ქიტიაშვილმა, ქრისტი გოგალაძემ და ნუცა მახათაძემ ამომწურავად ისაუბრეს საქართველოსთვის ამ მნიშვნელოვანი მოვლენის ირგვლივ და უდიდესი გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით წარმოაჩინეს ქართველი ერის სულიერ მწყემსმთავართა ბიოგრაფიები და მათი მონამეობრივი ცხოვრება.

ერთმანეთს ენაცვლებოდა იმ დიდებულ ადამიანთა სახელები, რომელთა მადლი და მფარველობა ყოველ ნაბიჯზე იცავდა საქართველოს არაერთი ძნელბედობის ჟამს: **კირიონ II საძაგლიშვილი (1917-1918 წ.წ.), ლეონიდე ოქროპირიძე (1919-1921წ.წ.), ამბროსი ხელაია (1921-1927 წ.წ.), ქრისტეფორე III ციციშვილი (1927-1932 წ.წ.), კალისტრატე ცინცაძე (1932-1952 წ.წ.), მელქისედეკ III ფხალაძე (1952-1960 წ.წ.), ეფრემ II სიდამონიძე (1960-1972 წ.წ.), დავით V დევდარიანი (1972-1977 წ.წ.) და ილია II შიოლაშვილი (1977 წლიდან დღემდე).**

ნიჭიერი პედაგოგის, ხათუნა ჩიტაძის შესანიშნავი დიზაინით გაფორმებულ სკოლის სცენას ამშვენებდა პატრიარქთა ფოტო-სურათები. დარბაზში რელიგიური შინაარსის პოეზიითა და ღვთიური საგალობლებით ამაღლებული განწყობილება სუფევდა, რომელიც გადამდები იყო იქ მყოფი თითოეული ადამიანისათვის.

ლიანა ტატიშვილისა და მზევინარ რევაზიშვილის ხელმძღვანელობით, სკოლის სამუსიკო და VIII კლასის ვაჟთა გუნდის მიერ შესრულდა ეკლესიური თემატიკის რამდენიმე მუსიკალური ნომერი.

საღამოს დასასრულს, თავიანთი შთაბეჭდილებები გამოთქვეს მოწვეულმა სტუმრებმა, ხაშურის ინტელიგენციისა და სასულიერო სფეროს წარმომადგენლებმა.

ასეთი შინაარსის სასკოლო ღონისძიებები კიდევ უფრო მეტად გააღრმავებს ახალგაზრდების საკუთარ ფესვებთან დაბრუნების სურვილს.

ეკა ბაქრაძე

დებიუტი



ლევან კილაძე დაიბადა 1995 წლის 7 თებერვალს, ქ. ხაშურში. დაამთავრა მეორე საჯარო სკოლა...

„პირველი ლექსი 9 წლის ასაკში დავწერე, თუმცა, აქტიურად 13 წლიდან შევუდექი წერას", – ამბობს პოეზიაზე უსაზღვროდ შეყვარებული ახალგაზრდა კაცი, რომლის გულწრფელი ნაფიქრალ-ნააზრევი, ნამდვილად, იპყრობს მკითხველის ყურადღებას.

„ქართლეული" მისი ფსევდონიმია. ლექსების გარდა, ლევანი წერს მოთხრობებს. უახლოეს მომავალში კი მის რომანსაც ვიხილავთ.

დიდი თამაში

მამაო ჩვენო, კაცთ სახიერო,
გულში ზოზოქრობს ხმა შორეული,
რამდენი სახე ვასახიერო,
რამდენი ლოცვა – დარდმორეული...
მშფოთვარ სულთათვის მიწა რთულია,
უწყი შენ, შვილთა ყოველ ქმედების...
თვალები ცისკენ აღმართულია,
ვით მომზირალი დიად ქედების.
მათ დარჩეთ მიწა, ბნელი საუნჯე,
ყველა სიწმინდე მომიკალ, ზედო!
ამაზე მეტად, როგორ დავმუნჯდე
და რომ ვეცადო, რა ვიმოქმედო?
ვის უძღვის ბრალი ყოველ ამაში,
რა აჩქევს სხეულს ცანცვას ნელებით?!
მინდვრის ყვავილთა ფერთა გამაშიც
დღეს გული რად სწყვს საშინელებით?..
აჰა, მკვდარ გულთა გაზაფხულები,
მსახვრალმა ხელმა უნდა ასხვაპოს,
მასში ზღვრია დამარხულები,
რაც ვერ ვაშორე მიწის სამსხვერპლოს.
აჰა, ლალადი, ზღვრა მიმწყდარი,
წინათ რომ ქუხდა, როგორც არაგვი,
აქ რა შემომრჩა დაცვინცხარი,
სამარადჟამოდ, რისთვის არა ღვრი!
ვეღარ გავდივარ დიდ თამაშიდან,
არ მასვენებენ ბნელი ქარები,
გზაამნეული, გზნების მარშიდან
ჯოჯოხეთისკენ მიექანები...
ერთ დღეს ბოლოჯერ დარეკავს ზარი,
ხრამს ჩასძახებენ მწუხარედ მთები,
შავი, მყინვარე და შემზარავი
აფრიალდება სიკვდილის ფრთები!
ირგვლივ ყორნები მომისხდებიან,
ჩემს განვლილ გზაზედ გავირინდები,
ლექსები ფრთებად მომიხდებიან,
მე ხელებს გავშლი და გავფრინდები.
შორს გადავუფრენ შავ-თეთრ ნაპირებს,
ჩავიძირები ფერად სივრცეში
და გაგიფუგებს კვლავ დამიპირებს
უსასრულობის ფიქრების თქეში.
მამაო ჩვენო, კაცთ სახიერო,
გულში ზოზოქრობს ხმა შორეული,
რამდენი როლი ვასახიერო,
რამდენი ლოცვა დარდმორეული...

სონეტი

წმინდა ხარ, წმინდა, როგორც მთაში წყარო ანკარა,
არ მინდომია ჯერ ამ ქვეყნის ზინძური ხელი,
შენმა კისკისმა თვალს მოხუჭვა არ მიაკარა,
მაგ სიკეკლუცემ შემაყვარა ღამე ოხერი...
წმინდა ხარ, წმინდა, ვით ზაფხულის ზეცა კრიალა,
სპეტაკ თოვლივით, პირველად რომ ფაფუკად მოვა,
ამნაირ გრძნობას სიყვარული ჰქვია კი არა, –
მარადიული, უფრო წმინდა, – ღმერთმა რომ გვთხოვა...
და ვინ გაზრდა, ვინ ჩააქრო შენში ლამპარი?
ვინ გაგახსენა, ვინ გიზიძგა ცანცკად დინებას?..
და, ვით პატარას, ვინ მოგისპო წმინდა ზღაპარი,
ვინ დაგიმსხვრია ოცნებების მომლოდინება?!
თუ ფოთლებივით უმოწყალოდ ჭკნება ოცნება,
ყოველ გაზაფხულს, ის, სიმწვანით, კვლავ იმოსება...

ლურჯი ფრინველი

დაიღალა თვალები,
მკლავებს აღარ აქვს ძალა,
სულო, სხეულს გაშორდი,
მიწა დაწყევლილია!
რა ექნა, ცრფობა სხვაგვარი
გულმა თუკი აკრძალა
სხვანაირი ნუგეშიც
დაჭკნა, როგორც ლილია...
არის ცანცვა ამგვარი,
არის გლოვა ხეების,
მეჩვენება, ჩემს ირგვლივ
მოარული გვამები,
გული მტკივა, აღარ ხარ,
რომ ვეღარ გგრძნობს ხელები,
სულო, ჩვენ მოგვატყუეს,
გულო, მახეს გავები!..
მე ხომ გავჩნდი გაზაფხულს,
ყვავილების მხარიდან,
მაშინ, რას ჰგავს ხეები,
დღეს რა ზღვარი გაივლო!
ნუთუ გაქრა ფოთლები?!
ეს სითეთრე არ მინდა,
სად გაქვს მშვიდი საგანე,
საოცნებო ყვავილო...
გაქრა „ლურჯი ფრინველი",
ჩემს ახლოს რომ ცხოვრობდა,
სად შემოჰკრა ფრთა-ფრთაზე,
საით, რომელ მხარეში?
ღმერთო, რა იქნებოდა,
მეც რომ ფრთები მქონოდა,
ღმერთო, რა მოხდებოდა,
მასთან ერთად გაგეშვი?!

„ლიტერატურული ხაშური" კლარა გელაშვილს ულოცავს შვილიშვილის – პატარა დემეტრეს დაბადებას.

ღვთის წყალობა არ მოკლებოდეს შენს ლამაზ ოჯახს, ჩვენო კლარა!

მზეგული ცუცქელაშვილი

დაიბადა 1955 წლის 2 იანვარს, ვანის რაიონში, სოფელ ბზვანში. იგი პროფესიით, ბიბლიოგრაფი და ჟურნალისტი გახლავთ.

ია

რა ხანია, გავიღვიძე,
გავახილე ლურჯი თვალი,
სამოსელზე გადავივლე
მოციმციმე დილის ნამი...
აქეთ-იქით გავიხედე,
ორეული შევამჩნიე...
მზემ ირიბად გამიღიმა,
სურნელება დავაფრქვიე!
მორცხვი ვარ და პაწაწინა,
მიყვარს ჭალა, მიყვარს ველი,
მინდა, მხოლოდ შენთან ვიყო,
იცი, ამ დროს როგორ ველი!

რას იზამ...

რას იზამ, უნდა აიტანო შეურაცხყოფა,
სხვა რა ჩარაა, ცვირთი ესე მხრებით აცარო,
კაკალს ხმა არ აქვს, ჩახლეჩია ამაოებით,
ბამბის ჩხრიალმა დაასყრუოს ლამის სამყარო!
ძნელია, როცა ლაფის წვიმა გიახლოვდება,
გინდა, რომ აგცდეს და სიმწრისგან ვეღარას აწყობ,
შეგეზიზღება იმ დროისთვის, მიწაც და ზეცაც,
ამა ქვეყანას რად მოველო, – ცრიილით ამბობ!
ანმყოს განიცდი, ვერ გამშვიდებს წარსული, ვერა,
უმზერ მომავალს, იქნებ, ცაზე გამოიდაროს...
ნატრობ, მოისხას არსთა გამგემ გრძელი მანტია
და საწუკვარი განაჩენი გამოგიტანოს...

იმედის ნაპერწკალი

თენდება, რიყრაჟი საზრძანისს იმაგრებს,
ივერს ათენდება თეთრად...
რა ვიცი, იქნება, გამოჩნდა იმედი,
იქნებ, გაანათოს ზეცა?!
იქნებ, გამოჩნდა აღმაშენებელი
„ყალყზე შემდგარი რაშით",
და იქნებ, მოდის სპა ქართველების
დაფით, ნაღარით, მარშით?!
იქნებ, ცარგვალზე გამოანათა
მზემ ივერიის მძლავრად,
იქნება, ცხენზე ამხედრებული
თამარ მოუძღვის ლაშქარს?!
იქნებ, ნოსტედან რჩეულ ვაჟკაცებს
სააკაძე მოძღვრავს
და საქართველოს გადასარჩენად
ჯაჭვის პერანგით მოსავს...
საფლავის კედლებს ამტვრევს ერეკლე,
რა გააჩერებს უხმლოდ!
ისევ ამხედრდა პატარა კახი
და თავის ლაშქარს უხმობს...
და იქნებ, სული ისე აღზევდა,
ერთ მუშტად შეგვკრას ყველა,
იქნება, მალე სამაჩაბლოს და
აფხაზეთს დროშით შევალთ...
იქნება, ისევ გვიყვარს ერთურთი,
იქნებ, თხილსაც ვყოფთ ძმურად...
იქნებ, გავდევნეთ ამპარტავნება,
კუდი იქნია მურმაც?!..
იქნება, შოთას „ვეფხისტყაოსანს"
ქალწულს გავატანთ მზითვად,
იქნება, ისევ სულის ტკივილით
დიდი ილია გვტკივა?
და იქნებ, ისევ ჟღერს „ჩაკრულო",
„ლილეო", „ლალე", „რერა",
იქნება, უცხო, უხამსს როკვაზე
ქართველი აღარ ცეკვავს...
იქნება, ისევ ქართვლის დედები
ცხრა ძმას კვლავ ზრდიან აკვნით
და დიდ სალონში ორბელიანთა
დროშებს კერავენ კრძალვით...
იქნებ, ქართული ყველა ღირსება
კვლავ დაიბრუნა ერმა,
იქნება, ისევ მივალთ ტაძართან
და არ გაგვწირა ღმერთმა?
არა, არ არის ესე სიზმარი,
ივერს ნათელი მოსავს...
და საქართველოს იმერ-ამიერს
თვით ღვთისმშობელი ლოცავს!..

ნანი გაჩეჩილაძე

რედაქტორი ეკა ბაქრაძე